ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ალექსანდრე გოგოძის ანგარიში 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ამირჩიეს ნაგომარის მაჟორიტარული ოლქიდან, ვარ ფრაქცია „ჩვენი ოზურგეთის“ თავმჯდომარე.

2015 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, მონაწილეობა მაქვს მიღებული 18 ბიუროსა და 21 საკრებულოს სხდომაში, რომელთა მიმდინარეობისას მიღებული იქნა 98 განკარგულება, დამტკიცდა 46 დადგენილება. ჩატარდა ფრაქციის სხდომა, სადაც განხილულ იქნა 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი, ფრაქციამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ პროექტს.

ასევე ვარ ორი საფინანსო - საბიუჯეტო, აგრეთვე სამანდატო, საპროცედურო, იურდიულ და ეთიკის საკითხთა კომისიის წევრი. აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდ კომისიების სხდომებში.

საკრებულოს მუშაობის პერიოდში ჩემს მიერ მხარდაჭერილი იქნა თითქმის ყველა ინიციატივა. მინდა მოგახსენოთ, რომ წელს დაახლოებით 2 მილიონით გაიზრდა ბიუჯეტი ადგილობრივი შემოსავლების ხარჯზე და 9 მლ. ნიშნულს გადააჭარბა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის როგორც გასულ წელს, აგრეთვე 2016 წელსაც მთავარი პრიორიტეტები ინფრასტრუქტურის მშენებლობა და განათლებაა.

მოსახლეობასთან, გრაფიკით განსაზღვრული მაქვს თვეში ორჯერ შეხვედრის დღე, ასევე მიღების საათები, თუმცა, კვირის სხვა დღეებშიც ვხვდები და ვეცნობი მათ პრობლემებს, როგორც საკრებულოში, ასევე უშუალოდ ნაგომარში.

მოსახლეობასთან შეხვედრებისას იკვეთებოდა ძირითადად სოციალური და ინფრასტრუქტურის მიმართულებით მოსაგვარებელი პრობლემები. 2015 წელს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კოორდინირებული მუშაობის გზით და ჩემი უშუალო შუამდგომლობით დახმარება გაეწია ნაგომრის მოსახლეობას.

მოქალაქეებთან შეხვედრისას და განცხადებების განხილვისას პრობლემები ძირითადად ეხებოდა:

- გაზიფიცირებას, გარე განათებას
- შიდა ცენტრალური გზების ასფალტირებას
- სოციალურად დაუცველი ადამიანების ოპერაციებისა და წამლებისთვის საჭირო ფინანსური დახმარების გაწევას.
- დაზიანებული სახლების სახურავების შესაკეთებლად მასალების შეძენას.

აღნიშნული პრობლემების მოგვარების მიზნით:

გამგებლის სარეზერვო ფონდიდან გაიცა 2475 ლარი.

მოქალაქეთა სამედიცინო დახმარებაზე 4377ლარი.

დაიგო სტიქიისგან დაზიანებული 200მ. სიგრძის ბეტონის გზა.

საბავშვო ბაღისთვის შეძენილი იქნა ხორცის საკეპი მანქანა, ავეჯი.

იმედს გამოვთქვამ, რომ 2016 წელს საკრებულოსა და გამგეობის ერთობლივი ძალისხმევით უფრო მეტი სოციალური თუ ინფრასტრუქტურული საკითხის წარმატებით გადაჭრას შევძლებთ.